ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 2017/156

23 08 17 57/34

ქ. თბილისი

23 აგვისტო, 2017 წელი

მიმწოდებელი: ს.ს.ი.პ. „საქართველოს ეროვნული ბანკი", აღმასრულებელი დირექტორის გიორგი მელაშვილის სახით
მისამართი: სანაპიროს 2, ქ. თბილისი 0114, საქართველო
საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ეროვნული ბანკი, ს/კ: 203824148, ბანკის კოდი: BNLNGE22, ანგარიშის № GE52 NB04 5010 1499 9041 01;

შემსყიდველი: *საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტურუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში* სახით
მისამართი: ქ. თბილისი, ინგოროყვას #7
საბანკო რეკვიზიტები: ს/კ 204469280, ბანკის კოდი: TRESGE22, მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 200122900

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" პუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ,,მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს „შემსყიდველს" (CPV კოდი: 18512100) **ქართული ვაზისადმი მიძღვნილი საკოლექციო დანიშნულების 5 ლარის ნომინალის ვერცხლის მონეტა 10 (ათი) ცალი** (შემდგომში „საქონელი"), ხოლო „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „მიმწოდებელს" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საფასური.

მუხლი 2. საქონლის მიწოდების ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

2.1. საქონლის მიწოდებას ,,მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულებით საქონლის გადაცემა მოხდება მისამართზე – ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი N72;

2.3. საქონლის გადაცემა დასტურდება გადაცემის დღეს მხარეთა შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით. მიღება-ჩაბარების აქტი თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის და საქონლის მიღების უფლება ენიჭება: *როსტომ ვასაძე, 01010008914.*

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების წესი და პირობები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით, ხელშეკრულების საგნის ღირებულება განისაზღვრება **ერთ ცალ მონეტაზე 60.00 (სამოცი) ლარით.**

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **600.00 (ექვსასი) ლარს.**

3.3. საქონლის ფასის გადახდა ხორციელდება ლარებში უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

3.4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან **5 (ხუთი)** სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

4.1.1. მიიღოს საქონელი მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე.

4.1.2. მისთვის საქონლის გადაცემისას შეამოწმოს მისი ხარისხი.

4.1.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

4.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

4.2.1. გადასცეს „შემსყიდველს“ წივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

4.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი და/ან ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

5.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10% ოდენობით;

5.4. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

5.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებები შესრულებისაგან.

მუხლი 6. დავათა განხილვის წესი

6.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად, თუ შესრულების შეფერხება ან ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს–მაჟორული გარემოებების შედეგი.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს–მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რაც შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომის, სტიქიური უბედურების და სხვა მსგავსი მოვლენებით.

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არანაირი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილის ბათილობას.

მუხლი 10. ზოგადი დებულებები

10.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

10.2. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

10.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მიმწოდებლის მხრიდან:

აღმასრულებელი დირექტორი

გიორგი მელაშვილი

მ.ა.

შემსყიდველის მხრიდან:

სახელმწიფო მინისტრის მოადგილე

პაპუნა შენგელაია

მ.ა.